

# ბიორები გახარიათ ოზურგეთში პარტიული ორგანიზაცია დააფუძნა

## მეროვის კანდიდატად კი ბია ცეცხლაძე წარადგინა



ყოფილმა პრემიერმა და პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა, გიორგი გახარიამ, ოზურგეთში, პარტიული ორგანიზაცია დააფუძნა და როგორც თავად თქვა წინასწარჩენილ კამპანიას დაიწყო. გახარიამ მერობის კანდიდატად წარადგინა „კეთილ-

სინდისიერი საჯარო მოხელის განსახიერება“ ასე წარადგინა მან **გია ცეცხლაძე** „როგორც კი ოზურგეთში ღირსეული კანდიდატი წარუადგინეთ დაიწყო ღირსეული კანდიდატების ცეცხლაძე, მაგრამ ღირსეულთა შორის ღირსეული გია“ – თქვა ყოფილ-

მა პრემიერმა. **გიორგი გახარია:** – დარწმუნებული ვარ თქვენთან ერთად წარმატებაში და გამარჯვებაში. ჩვენი, ყველას მიზანი გახლავთ ძლიერი სახელმწიფო. ჩვენ თუ 30 წლის შემდეგ ერთი და იგივე წრეზე სიარული არ გავარდებით

და არ შეგქმნით ძლიერი სახელმწიფო, წინ ვერ წავალთ. რა არის ჩვენი ძლიერი სახელმწიფო? ძლიერი სახელმწიფო არის ძლიერი ინსტიტუტები, ძლიერი პოლიცია, მასწავლებელი, ექიმი, საჯარო მოხელე. მოვიდა დრო სახელმწიფოს ემსახურებოდნენ ღირსეული, კეთილსინდისიერი პროფესიონალები. ვერაფერს ვერ მივადწევთ თუ პროფესიონალი არ იქნება კეთილსინდისიერი და მარტო კეთილსინდისიერებაც ბევრს ვერაფერს მოგვცემს თუ პროფესიონალიზმი არ არის. ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვართ. ჩვენ ვართ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისთვის ბრძოლისთვის და შრომისთვის მზად. შეიძლება ვიდაცას მოქმედოს რომ მუნიციპალური არჩევნები მეორე ხარისხიანია, ეს ასე არ არის. ამ ქვეყნის მშენებლობა და სიძლიერე რეგიონებიდან უნდა დაიწყო. განსაკუთრებით პზურგეთიდან, მხარიდან რომელიმე ქვეყნის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეები შესძინა. ამ

ქალაქს, ამ მუნიციპალიტეტს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენითვის. ეს არ იქნება ოფისი. ეს იქნება სახლი თითოეული ოზურგეთელითვის, რომელსაც ყოველთვის შეეძლება მოიტანოს თავისი იდეა, პრობლემა. დარწმუნებული ვარ, იცოდეთ რომ ამას ყოველთვის ექნება ღირსეული გამოხმაურება. თითოეული ადამიანი, რომელიც აქ იქნება ჩვენი სახე, უნდა ავარჩიოთ თქვენთან ერთად, ისე იგივე კრიტერიუმების შესაბამისად – კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაზროთ რომ სხვანაირად ვერ ავაშენებთ ძლიერ სახელმწიფოს. ვლობა კეთილსინდისიერი პროფესიონალი იყოს საყრდენი ძალა ვიდრე არჩევანი შევანეროთ ახლობლებზე, ნეთესავზე, მეზობლებზე. ამას უნდა გადავწყვიტოთ. ამასთან უნდა გვესმოდეს რომ თუ პოლიტიკური ველი ახალგაზრდებისთვის არ გავსვენით კიდევ 20 წელი ვუყურებთ ერთი

და იგივე სახეებს. რომლებსაც ვუყურებდით 30 წელი და უკვე მობეზრდა ყველას. ამ სახეების უმეტესობამ ვერაფერი შესძინა ქვეყანას. ამიტომ ჩვენი ძირითადი პრინციპი იქნება ახალგაზრდები. რა თქმა უნდა მარტო ახალგაზრდები ვერაფერს გააღებენ, ერთი ძლიერი, გამოცდილი ხანდაზმული 3-4 ახალგაზრდა. გახარიას თქმით „ლეგიტიმურად“ ეკითხებიან „შენ იქ არ იყავი?“ „მე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მეშინია. რა თქმა უნდა იქ ვიყავი, იქიდან მოვიდვარ და დღეს ოცნებაში ბევრი ღირსეული ჩვენი მეგობარია. არ ვიკადრებთ ჩვენი წარსული ვლანდით და ვიპოვოთ. იქ ბევრი კარგი საქმე გაკეთდა მაგრამ ბევრი შეცდომაც იყო, რომელზეც ვიღებ პასუხისმგებლობას. სწორედ ეს პასუხისმგებლობა რატომაც დღეს აქ ვლევარ. ამ შეცდომების გამოხსოვრება ჩვენი მთავარი მიზანია“ – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა. **მარი კოპოშვი**



# ქ ა რ თ ლ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამომცემი. № 25 (10395) 9 აბგისტი, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამომცემი 1931 წლის 5 იანვარი

### ურეკში ხანძარმა ნანა ქავთარაძის სახლი იმსხვერპლა

5 აგვისტოს, ღამის საათებში კურორტ ურეკში მომხდარმა ხანძარმა აქვე მცხოვრები ნანა ქავთარაძის სახლი იმსხვერპლა. სახლის იყო და გადარჩენილია მხოლოდ კორპუსი. – რომ არა შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისული სამაშველო სამსახური, შესაძლებელია, ცეცხლი მომიჯნავე ნაგებობებზე გადასულიყო, ზარალი გაცილებით დიდი ყოფილიყო და ამ უბედურ შემთხვევას ადამიანების მსხვერპლიც კი მოჰყოლოდა, – გვატყობინებენ თვითმხილველები ურეკიდან.

6 აგვისტოს, დილით შემთხვევის ადგილზე ჩავიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალექსანდრე სურგულაძე**, მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე** და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი **თემურ გიორგაძე**. ხანძრის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. მიმდინარეობს ზარალის შესწავლა. მუნიციპალიტეტის მერიის თავკაცებმა განაცხადეს, რომ მერია, შესაძლებლობის ფარგლებში, დაეხმარება დაზარალებულ ოჯახს.



### „ბასწორხაზოვნება“ თუ ქვიშა-ხრეშის უპრობლემოდ მოპოვების ახალი გეგმა



**ალიონი.** კარიერების თემადროებით მიუვარა საზოგადოების თვალსაწიერს. არადა, მდინარეების აუზში კვლავ ინტენსიურად ხდება ქვიშა-ხრეშის მოპოვება, მდინარე სუფსაზე ზოგიერთ მონაკვეთი ისეა აოხრებული, მდინარის ფსკერიც კი ამოულაო. მხიშვინიანი მანქანების მოძრაობის შედეგად დაზიანებულია ოზურგეთი-ჯუმათი-გულიანის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. გასულ ხუთშაბათს სოფელ ოზურგეთის გადასასვლელად ვიდრე ე. წ. „ბაღების თავშესაფრამდე“, 5 წუთის განმავლობაში 15 მძიმე დაზვიანებული ავტომანქანა დაეაფიქსირეთ, ხოლო სოფელ

ბაღეთის ბოლოს, მდინარე სუფსის ხიდის გადაღმა 4 ტრაქტორი და ათეულობით ავტომანქანა მუშობდა მდინარის ე.წ. საეცვო „გასწორხაზოვნებაზე“. თურქული კომპანიის მიერ დადგენილი სასწორი, რომლითაც მძიმეწონიანი ავტომანქანები უნდა გაეკონტროლებინათ, უმოქმედოდა. „ქუე-სის“ ახლა სასწორისთვის არ ცხელა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს უშუალოდ ხიდის გვერდით ათასობით კუბური მეტრი ქვიშა-ლორდის ამოღება. ამ დარგის სპეციალისტები არ ვართ, მაგრამ ასეთი სახის გასწორხაზოვნების სამუშაოები ვერ არ გვინახავს.

–ხილთან რომ გავივლი, ვული მსკლება, მაგრამ პირიან ხალხი ჩანს და იბედა, შესრულდებიან დანაბრებს – გვითხრა მარშანდელი საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილე **მაია სარიშვილმა**. მარშან პერნამენტულმა აქციებმა გარკვეული დროით შეაფერხა მდინარის აუზში ქვიშა-ლორდის მოპოვება, თუმცა შემდგომ, მოსახლეობაც უიმედობამ მოიცვა, აქციებზე თანდათან იკლებდა მონაწილეთა რაოდენობა. როგორც ამობენ, ზოგი შეაშინეს, ზოგი მოისყიდეს, ერთეულებმა კი ვერ შეინარჩუნეს საპროტესტო მუხტი.

–რატომ არ მოდიან ხალხთან ამ კომპანიის წარმომადგენლები. (იგულისხმება კომპანია „სამი მს“). ისინი ჩვენ არად გვაგებენ, მაგრამ არ სცოდნიათ ხალხის ძალა. ახლა ამობენ, საბუთები გვაქვს ადგილობრივი კონსტრუქციის, მაგრამ არც ამ საბუთის შესახებ ვიცით სინამდვილეში. თავის დროზე პრეტენზიები გვქონდა მეორე კომპანიის „ქუე ემ სის“ მიმართაც, მაგრამ შემდეგ ამ კომპანიამ ამ ხეობის 4 სოფელთან გააფორმა მეგობრანდობა, რომელიც მილიონიან დაფინანსებას ითვალისწინებს. ყანებს დაგვითესავენ,

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში ახტებს ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
**558 499100**  
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
**599 373515**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
**551 576060**  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
**«ალიონით»**

## გიორგი ხანიშვილი: „ემთხილე ფერმერებმა უმძლეს მიმდროთ ისეთი მოსავალი, რაც 2-3 წლის წინ წარმოუდგენელი იყო“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში მეთხილე ფერმერებს შეხვდნენ. გიორგი ხანიშვილმა თხილის ბალები დაათვალიერა და ფერმერებისგან აგროსამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. „მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებმა სწორად გამოიყენეს სახელმწიფო მხარდაჭერა - ის ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური დახმარება, რაც გადავეცით; ყოველივე ამის შედეგად, მათ უმძლეს მიმდროთ ისეთი მოსავალი, რაც 2-3 წლის წინ წარმოუდგენელი იყო“, - აღნიშნა გიორგი ხანიშვილმა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობს ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები. „თხილის გადარჩენის პროგრამა“-

## რეგიონში ეპიდემიოლოგია განიხილეს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულება გიორგი ურუშაძემ, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან ერთად, კოვიდის რეგიონული შტაბის წევრებთან მორიგი შეხვედრა გამართა და განიხილა ეპიდემიოლოგია რეგიონში. შეხვედრაზე იმსჯელეს იმუნიცაზიის პროცესზე, კორონავირუსთან დაკავშირებით შემდგომი პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე და აღნიშნეს, რომ არსებულ სიტუაციაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული რეგულაციების დაცვა, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, დაისახა სამომავლო სამოქმედო გეგმა.



## ღორის აფრიკული ცხელება - რეალური საფრთხე მელიორაციისთვის



ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დეფაქტო ცხინვალის რეგიონში სავარაუდოდ ღორების აფრიკული ცხელება დაფიქსირდა. ღორების დაცემის ფაქტებს ადგილი ჰქონდა რიკოთის ხეობის მიმდებარე სოფლებში. თუ რა საშიშროებას წარმოადგენს იგი გურიის რეგიონისათვის ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულ სამმართველოს მიმართეთ: -შესაბამისი უწყებებიდან მივიღეთ წერილი, ღორების აფრიკულ ცხელებასთან დაკავშირებით. საჭიროა მოსახლეობას იზოლირებულ პირობებში ჰყავდეს პირუტყვი. ვეტერინარები გაეაფრთხილეთ, რომ ღორების დაცემის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აიღონ ნიმუში ლაბორატორიული კვლევისათვის - გვიხსნა სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს უფროსმა მანანა ერქომაიშვილმა. გაზეთი „ალიონი“ ღორების აფრიკული ცხელების შესახებ სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო ლაბორატორიის მთავარ სპეციალისტს გივი ანთაძეს ესაუბრა: -ღორის აფრიკული ცხელება (ცხელება) მალაკონტაგიოზური, მწვავე ფორმით მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ჰემორაგიული დათევათი, სხვადასხვა ორგანოებში დისტროფიული და ნეკროზული ცვლილებებით. ზრდასრულ ღორებში უფრო მეტადაა გამოხატული ციანოზური კანი, დაფარულია მუქი მოწითალო ფერის ლაქებით და სისხლჩაქცევებით, პირის ღრუს, საშოს, ანუსის და კონიუქტივების ლორწოვანი გარსები ციანოზურია, რაც შემთხვევებში მათზე სისხლ-ლჩაქცევებაა. ღორის ორგანიზმში მოხვედრისას ვირუსი გროვდება ლი-მფურ კვანძებში და აზიანებს ლიმფური უჯრედებით მდიდარ ორგანოებს, ღვიძლს, ელენთას, ფილტვებს, ძვლის ტვინს. დაავადების ამოვიცხვებაა ყველა ასაკის და ჯიშის გარეული და შინაური ღორი. თუმცა არის ერთი გარემოება, იგი მძიმე ვირუსია და შორს მანძილზე ნაკლებად ვრცელდება ჰაერის გზით. სა-ჭიროა მოსახლეობას ღორი ჰყავდეს იზოლირებულად, მეთვალყურეობის ქვეშ. ამასთანავე მოსახლეობამ წელიწადში ორჯერ ღორი უნდა აცრას ბრუცელოზზე. ღორის დაავადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ვეტერინარს. სამწუხაროდ, ღორის აფრიკული ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს.-გვიხსნა გივი ანთაძე.

## ნაგომარში ადმინისტრაციული შენობა დაიწვა



ალიონი. 1 აგვისტოს, დაახლოებით 01 საათსა და 30 წუთზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარის ადმინისტრაციული შენობა დაიწვა. შენობაში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი, საექიმო უბანი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობა. შენობის უმეტესი ნაწილი გარემონტებული იყო. ხანძრის გაჩენის მიზეზად გაუმატოვებელი ელექტროგაყვანილობა სახელდება. ხანძარი მოსახლეობამ გვიან შეამჩნია და სახანძრო ბრიგადები ამის შემდეგ იქნა მოიბიძგებული. ცეცხლის ჩასაქრობად ადგილზე მუშაობდნენ ოზურგეთის, ჩოხატაურის, სამტრედიის და ბათუმის სახანძრო ბრიგადები. თვითმხილველთა თქმით, შენობა 3 საათის განმავლობაში იწვოდა. ერთ-ერთი ტელევიზიის ინფორმაციით, სახანძრო ბრიგადებს წყალი არ ჰქონდა და ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების დაწყება გვიან მოახერხეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ ნაგომარში მიხილ ცხტივი იყო ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა ამბობს, რომ ხანძარი გვიან იქნა შექმნილი. მომხდარზე აღძრულია საქმე. სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ნიშნავს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით. ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსის მაკა ჭყონიას თქმით, ისინი საბავშვო ბაღს დროებით სხვა შენობაში განათავსებენ.

მშენებელი

# „ბასწორსაზოვნება“ თუ ქვიშა-ხრეშის უპრობლემოდ მოპოვების ახალი გზა

გზებს გააკეთებენ, გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარებენ – გვითხრა აქციის მონაწილე ლია პატიშვილი. (გაზეთი „ალიონი“, 17 აგვისტო, №21).

დავინტერესდით, როგორ შეასრულა „ქუე-ემ სიმ“ დანაბრები.

სოფელ სილაურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელ გიორგი ჯანსოხიძის თქმით, წელს გაზაფხულზე „ქუე-ემ სიმ“ წილობრივი მონაწილეობა მიიღო სოფლის მოსახლეობის კუთვნილი 50 ჰექტარი საყანე ფართობის დამუშავებაში. გლეხებმა საშუალოდ 40 ლარი გადაიხადეს 1000 კვადრატული მეტრი საყანე ფართობების დასხნაში, სადაც „ქუე-ემ-სიმ“ წილი 17 ლარი იყო (ჰექტარზე 170 ლარი, სულ 8 500 ლარი).

შარშან, ნოემბერში სოფელთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, დაიწყო სოფელ სილაურში „სვანის წყაროს“ (მე-2 ბრიგადა) უბანში სოფლის ცენტრიდან ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათის დამაკავშირებელი 1,8- კილომეტრიანი მონაკვეთის დაგვირგობინება და მოსახლეობას შეპირდნენ, რომ უახლოეს ხანში ასფალტსაც დააგებდნენ, მაგრამ მას შემდეგ 9 თვე გავიდა და ვერცერთი სამუშაოები არ დაწყდა.

**ზურაბ დარჩია**, ოზურგეთის მერიის წარმომადგენელი სოფელ ბაილეთში: – „ქუე-ემ სიმ“ მემორანდუმში ჩვენს სოფელთანაც გააფორმა. წელს გაზაფხულზე 60 ჰექტარი ყანის დამუშავებაში მიიღეს წილობრივად მონაწილეობა, დანარჩენი, რაც მემორანდუმში წერია, არ განხორციელებულა. მემორანდუმის თანახმად, უნდა მომხდარიყო ბაილეთი-ჯუმათის 4 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ელემენტარულად გზის დაგვირგობინებას და სანადგურ არხების მოწოდებას მინც ხომ გულისხმობს? ამავდროულად არ უკითხავთ. ცუდ დღეშია ცენტრალური გზა, – მტკვრი, ხმაური აუტანელია მოსახლეობისათვის. ხრეშით დატვირთული ავტომანქანებიდან ჩამოდის ტალახიანი წყალი, რაც ასევე პრობლემა გზისა და მოსახლეობისათვის. ჭები და შარბინი... ამას წინათ მემორანდუმით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო უბანში რ. ც. გარდაცვალა. მძიმე მდგომარეობაში იყო გზა და დახმარება მუნიციპალიტეტის მერიას ვიხივე. ტრაქტორი და 3 თვითმცლელი გამომატანეს. მუნიციპალიტეტის ტექნიკით ავიღეთ ქვიშა-ლორდი და გზის დახმარებულ უბნებზე დავყარეთ. იმდენი, ამას „ქუე-ემ სიმ“ სოფლისთვის გაკეთებულ საქმედ არ მიიჩნევიან. კარგია, რომ ავტომანქანა კვირდება, მაგრამ სოფელსაც უნდა მიეცეს ყურადღება. რა გასწორსაზოვნებაზე საუბარი, ნადგურდება ხეობა. სოფელი 0, 001 პროცენტ სარგებელსაც ვერ მიიღებს მისი ტერიტორიიდან. მილიონებს შოულობენ და სოფელი არ ახსოვთ.

**ოთარ მეტეხაშვილი**, ოზურგეთის მერიის წარმომადგენელი სოფელ ჯუმათში: – ქვიშა-ლორდის არასწორად მოპოვების შედეგად 7 ჰექტარი საუკეთესო საყანე ფართობები დაკარგა სოფელ ჯუმათის მოსახლეობამ მდინარე სუფსაზე არსებული კაპიტალური ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც გასწორსაზოვნებაზე საუბარი – ექსკავატორი იმდენზე ჩადის მდინარის აუზში, რამდენსაც მისი კოშკი ჩაწვდება. სფრხის ქვეშა ხიდი. თუთუ ამას ვერ ხელდას გარემოს დაცვა და სხვა მაკონტროლებელი სამსახურები? გვინდა რომ 10 დღეი ლობობის სარი მოჭრას ტყეში, გზაზე გარემოს დამცველები დახედებინ და დაეკარგებენ. დავიჯერო, რაც ხდება, ვერ ხელდავენ.

დაგროვილი კითხვების გამო ჩვენ ვცადეთ, დავკავშირებდით კომპანია „ქუე-ემ-სიმ“-დირექტორს **აიკო ლექვიანიძეს**, მაგრამ მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

შარშან მდინარე სუფსისა და მდინარე ნატანების აუზებში შემდეგი კომპანია მუშაობდა: „ნატა 2000“, „სამი ძმა“, „ქუე-ემ სიმ“, „ბორან ქონთ-რაქმინი“, „ვოროვან მინერალის“, რომელთა უკან საქართველოში გავლენიან პირებს ასახელებენ.

სუფსისა და ნატანები-ბუფის ხეობებში სასარგებლო წიაღისეულის შესწავლაზე ლიცენზიები აქვთ „ნატა 2000“-დირექტორს **ლევან სვანაძეს**, იგი კომპანია „აკეთის“ მფლობელიცაა. მათ ერთ-ერთი ხელშეკრულება 2020 წლის 20 მაისს გაფორმეს შპს „სამ ძმასთან“ (დირექტორი **ივრი ფულტარაძე**).

ამ ხელშეკრულებით „სამი ძმა“ 100 000 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში უნდა ამოიღოს მდინარე სუფსის აუზიდან, რამაც მათ ოფიციალურად 400 000 ლარი უნდა გადაეხდათ „ნატა 2000“-თვის. ნამდვილად არ ვიცით, ერთი წლის მანძილზე



რამდენი კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში ამოიღო „სამი ძმა“, მაგრამ აზერად ისინი ჩინური ავტომანქანით „აქრობენ“ ქვიშა-ლორდის გადაზიდვას.

– თავად ხედავთ, საშუალო ტვირთაწოდების ავტომანქანებით გადაგვაქვს ტვირთი. „პოკოს“ ტვირთაწოდება 27 ტონაა. სასწორი არ გვჭირდება, რადგან სოფელ მელეკელურში გვაქვს საკუთარი ქვიშა-ლორდი საფრქვევი ქარხანა, ხოლო გრივოლითი-სუფსას მაგისტრალზე ქვიშა-ლორდს თავად მშენებელი კომპანია წონის – გვითხრა კომპანია „სამი

დეპარტამენტებს უნდა განესორციელებათ...

**მიხეილ შილაკაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: – პერიოდულად გარემოს დაცვის სამსახურს ვაწვდით ინფორმაციას მდინარის სეობებში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოსახლეობის პროტესტის შედეგად, მდინარე სუფსაზე დემონტაჟი გაუკეთდა ხიდს. იყო ბაილეთის მოსახლეობის პროტესტი, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ქვიშა-ხრეშის



ძმას“ მენეჯერმა **კახა ჩხარტიშვილმა**.

შევეცადეთ გავვერკვია, რატომ არ დაიდა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ მერ მთი-ხონილი სასწორები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

**ირმა გორდელაძე**, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელი: – სასწორების დადგმის თემა შეჩერებულია. ბოლოს ეს საკითხი თებერვალში მოვიკითხე. იმემად დემოკრატიული განვითარების კავშირის ორისტმა ირაკლი პაპაძემ გავზუნა წერილი საპატრული პოლიციის დეპარტამენტში. საკონტროლო სასწორები უნდა დადგმულიყო მუნიციპალიტეტის შესასვლელ-გასასვლელში და მასზე კონტროლი სეგზაო და საპატრულ პოლიციის

ამოღების ლიცენზიები არასწორად იყო გაცემული. მასში მოხვედრილი იყო მოსახლეობის სახსარ-სათვის ფართობები, რომელშიც იჭრებოდა კომპანია „სამი ძმა“ წყარო მდინარე სუფსაზე. რაც შეეხება სასწორებს იგი არ დადგმულა.

**თემურ ჭანუყვაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი: – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩადებული იყო თანხა სასწორების შესაქნად. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განაცხადა, რომ კონტროლი მათ უნდა განესორციელებინათ. შემდეგ, პანდემიის გამო, მოხდა ბიუჯეტის შეკვეცა და სასწორების თემა ჩაიჭრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან.



## ეკონომიკური ღირებულების ღირებულება

მონი, წარსულს ჩაბარდა, ქართველ კაცს შემოდგომის დადგომას რომ უხაროდა. აფრასიონი რომ აფრასიონია, მატრონას პატრონი, უბედური აფრასიონი, ისიც კი წიწილების დათვლის მოლოდინში ხელებს იფშვინებდა. ახლა წიწილების მგვიერ ხმები უნდა ითვალაო მთელი ღვინობისთვის განმავლობაში და იმაზე უნდა იმტვირთო თავი, ვინ ვის აძლევს, სად და როდის?.. ხმებს ვგულისხმობ, რასაკვირველია, თორემ სხვა რაღა დარჩათ მისაცემი?!

„ღირსების მარშის“ მოწყობაში წინააღმდეგობის გაწევის, გვიანდელმა ჩატარებაში გადავარებული ორგანიზაციებისთვის ხელშეშლის გამო, ევროპასთან და ამერიკასთან პირდაპირი კავშირები, „მოძალადე“ საქართველომ, ოქტომბერში, თუ მანამდე პანდემიამ არ შანთიქა, დემოკრატიზაციის კიდევ ერთი ტესტი უნდა ჩაატაროს, თანაც ისე, „ნაცები“ რომ ცნობენ (ბა, ეუთოსა და სხვა დამკვირვებელ ორგანიზაციებს გინდ უცნია, გინდ არა) და როგორღე დაამზადონ შემოერთებული ოკეანის გადღობა და გამოღობილი „დემოკრატიის მამები“, სწორედ „ნაცების“ ხელისუფლებაში მოპოვებისთვის რომ იხვეიან შიგნით.

ამბობენ, ფურნალიუსს სქესი არ გააჩნია და პოლიტიკოსს სინდისი. ჰოდა, გამოჩნდებიან ახლა, ამ ეტაპზე თვითმმართველობის დათრევის მსურველი ზოგი ახალბუდე და ზოგიც ცხრა რაღაცაზე გადახტარი ეს უსინდისო, შუბლზე კამების ტყვადგარული, ქვეყნის გადასხნა-გადამხრავი ე. წ. „პოლიტიკოსები“, გულზე მკვლის ცემით, ყალბი რიტორიკით დაყრდნობის საარჩევნო პროგრამებსა თუ კონცეფციებს, აიკლებენ ქვეყანას თავივანთი ტელევიზიებითა და მათი მოზიარე უსქესო ფურნალიუსებით.

„ნაცი“ ზოიპარკიდან ასაღვამოსულ მელას მუყვეს ბუდეში საიმთ გატრუნულ „ქოცს“, „ეკულის მოვიტან ცუნცულასა, ხელქიასა, წაღღულასა, ხესაც მოვიტან ხის ძირსაცა, შენც შეგვამ და შენს შეილსაცა“, მიუბუჯრდება თავმოტყვეპილი და კულ-მოგლეგელი მელა. დაფრთხება კოპაბიტაციით დელ-მისის ნაჭში, ამერიკისგან ყვითელპარტანაჩვენები „ქოცი“, „რაო, ბატონო მელაო“, გადმოსხმებს და რამდენიმე ბარტყსაც გადმოუცდებს. ბარტყები კი ბლომად ჰყავს მისიც და სხვისიც. ჩვენ რა, მელაზე ნაკლები სტომაქი გვაქვსო? – გაწყვიტან სხვა ნადირი, ისინიც დასცინცლავენ რამდენიმე ბარტყს მოზუღარს. ეგ არის და ეგ და ასე იქნება სულ, სანამ უნათო „ქოცს“ ბარტყები არ გამოუღვება, ხოლო მადეცხაბიზილებელ, ქირიკულად შესაბოტაჟე „ნაცს“ ხელისუფლებაში ნებისმიერი ბინძური მეთოდით, თუნდაც რევილუციით, დაბრუნების სურვილი არ გაუქრება.

ჰო, გენერაცი ზომ უნდა დავიცვათ. ისე როგორ წახდება ამ ბოლო დროს ნამტნავედ გაქტიურებული ქართველი ქალი, რამდენიმე საარჩევნო ურანზე არ ახტეს თავი ის ნატიფი, გრძელი კანჭებით, გამოხატვის თავისუფლებას ვეზულადგნო. შესაბამისი გენერალური რეგულიაციაც ზომ უკვე რეზონანსულად გაიარა საქართველოს პარლამენტში.

მოკლედ, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც „დემოკრატიულები“ გავხდით, ეს პოლიტიკური ნადირები ერთმანეთს წყვეტენ და კარგებს „უხნავენ“ იმ ერთი ბულისთვის, რომელიც სინამდვილეში კვერცხისმდებელ ფრინველებს ეკუთვნი. ვინ იცის, ანაირ ნადირთა მოდგმის კიდევ რამდენი შემოდგომა დასჭირდება იმის მისახვედრად, რომ ბუბუნოვრების ღირე კვერცხებიდან წიწილები არ იჩეკება. რომც გამოიჩეკოს, ვის რა ჯანდაბად უნდა და რამე გამოაღვება ასეთი წიწილები?!

ერთი ბეული ანგლოტი მასწინდება: ესპანეთში ტიპი რესტორანში შედის და ამ ქვეყნის ეროვნულ კერძს მოითხოვს. ტაქტიანი ოფიციანტი ორ სოლო შემწვარ კვერცხს მოუტანს. მოეწონება ტიპს და მეორე დღესაც შეივლის ამ რესტორანში, ისევ იმ ეროვნული კერძის მისართმევედ. ამჯერად გაცილებით პატარა ზომის ორ ცალ შემწვარ კვერცხს მართმევენ, ფულს კი იმდენს გადასდგენებენ. გაუკვირდება ტიპს, ეს როგორაო?! ასეა, ბატონო და რა გნათა, ამ ეროვნულ კერძს „კორიდა“ ჰქვია, კორიდაზე კი ხან ხარი კვდება და ხან კაციო, – დამწველებს ოფიციალტი.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, ჭკუთი ფავით, ბუნტის გარეშე, როგორღე მშვიდობიანად ჩაატარეთ ეგ არაფრისმომცემი არჩევნები, თორემ „კორიდის“ დავე-მოგნება არ ავცდებათ.

კოკა თმლია.



# სოფლის მხარდამჭერი პროგრამით ბათვალისწინებული სამუშაოები სოფელ სილაურში მალე დაიწყება

**ალიონი.** სოფლის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში წლეულს 31 000 ლარის სამუშაოები უნდა შესრულდეს. სილაურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის **გორა ჯანხოთელის** თქმით, ეს სამუშაოები მალე დაიწყება და წლეულსვე დამთავრდება. „სოფელში მალე დაიწყება პრიორიტეტულად მიჩნეული გარე განათების მოწყობა. სოფლის ცენტრში უკვე დამონტაჟებულ 53 ელექტროსადენის ფარს, ამჯერად უბნებში დაემატება 17 ანალოგი-



ური ფარი და 60-ვატიანი ე. წ. ხუთ წელს შეადგენს. ერთი ასეთი მზის პანელი, რომლის გარანტია პანელი სოფელში უკვე დგას და

ბარისხიანადაც მუშაობს. მოხდება სოფლის შემოსასვლელი გზის რეაბილიტაცია და აიკეთება ახალი, კეთილმოწყობილი მოსაცდელი. ამ სამუშაოებს სულ 27 ათასი ლარი მოხმარდება, დანარჩენი 4 ათასამდე ლარით, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, შეიძენენ დ-20-იანი დიამეტრის 3 კილომეტრი სიგრძის მილებს“, – აღნიშნა ჯანხოთელმა. მანვე გვითხრა, რომ სოფელს გარკვეული დახმარება გაუწია აქ მოქმედმა ქვა-ღორღის მომპოვებელმა კომპანიამ „ქიუ ემ სი“. „ამ კომპანიამ სოფლის მოსახ-

ლეობას გარკვეული ფინანსური დახმარება გაუწია საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებისას, თანდაფინანსებით (17 ლარი ყოველ ათას მეტრზე) მონაწილეობა მიიღო საყანე ფართობების მოხვნაში. ამ გზით დათმავდა 50 ჰექტარზე მეტი საყანე ფართობი. სოფელს შეუძინა 14 ცალი ეკლიანი მავთული ხსენებული ფართობების ღობეების შესაკეთებლად. გარდა ამისა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უზრუნველყო სამშენებლო ინერტული მასალით, სახლში მიტანილი“.

## ალიონი 90 1938

### ფხვარული

**ლაბოლმენი (ნაპრპი)**  
**–მხარამი (ნაპრპი)**

24 ივლისს ფიზკულტურის სტადიონზე თავი მოიყარა უამრავმა მაყურებელმა. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პირველობაზე ორი ქალაქის ნაკრები მერე კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდები. დაიწყო თამაში. ორივე გუნდის თავდამსხმელები იბრზვიან ანგარიშის გასახსნელად. მხარამელები მძლავრ შეტევაზე გადადიან. სტუმრები დაჯარაჟდა პენალტით, რომელიც მოხერხებული დარტყმით გააქვს კარლო თონაძეს.

თამაში უფრო გამოცოცხლდა. გააქტიურდა მხარამელების თავდაცვა და თავდასხმა. მე-10 წუთზე შოთა ნემსაძის მიერ მიწოდებულ ბურთს ღებულობს მარჯვენა გარემარბი დიმიტრი კუჭუხიძე და მოხერხებული დარტყმით სტუმრების ბადეში ათავსებს.

სტუმრებმა მეორე დამარცხებას სასტიკი იერიშით უპასუხეს. ყოველი თავდასხმა მხარამელებმა მცველებმა უკუაგდეს. თამაშის ბოლო წუთებზე სტუმრები დაჯარაჟდა „კორნეი“ მარცხენა გარემარბის ასევე ივლისის მიერ ლამაზად ჩაწოდებული ბურთი სახიფათოდ ჩამოეკიდა სტუმრების კარის წინ –მომენტი ისარგებლა კოლია ჭანუყვაძემ და ბურთი თავით სტუმრების კარის ბადეში მოათავსა. პირველი ტაიმი მთავრდება ანგარიშით 3:0 მხარამელების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში მხარამელებმა შეანელებს თამაში. საბასუხოდ სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. მხარამის მეკარის შუტუ სალუქვაძის ნახტომებმა ბევრჯერ იხსნა გუნდი დამარცხებისაგან. მრავალი საშიში ბურთის აღება მოუხდა. თამაშის სუა წუთებში სტუმრები ახერხებენ ბურთის გატანას.ბოლო წუთებში გუნდები თითო ბურთით ზრდიან ანგარიშს და თამაში დამთავრდა მხარამელების გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

**კ. ჩხაიძე**  
**№55, 27 ივლისი, 1938 წ.**

### ბოშის პიონერთა ბანაკი

ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ წელს დასასვენებლად სოფელ გომში 32 პიონერი გაგზავნა. აქ არიან სწავლის გმირები, ფრადოსანი მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებმაც ჩინებულად გაამართლეს ამხანაგ ლაერენტი ბერიას მოწოდება, რომ „მოსწავლეთა გმირობა და მამაცობა ფრიადზე სწავლაა.“ ლამაზად არის მოწყობილი პიონერთა საძინებელი ოთახი, სასადილო და სხვ.

აქვე არის სხვადასხვა კულტურული გასართობები; ჭადრაკი, შასკი, ბილიარდი, პატეფონი და სხვ. პიონერები სანიმუშოდ აწარმოებენ ყოველ დასასვენებელ დღეს. დღის რეჟიმში აქ ნახავთ ყველა იმ საკითხებს, რომლებიც აინტერესებთ ახალგაზრდებს.

პიონერები ყოველდღიურად ისმენენ პოლიტიკურ ინფორმაციას და აწარმოებენ გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შესწავლას.

4 აგვისტოს მოსწავლე პიონერებმა განიხილეს რა იაპონიის ფაშისტთა აღვირახსნილი, სისხლიანი შეტაკება ჩვენი ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის გმირულ მესაზღვრეებთან, –გამოთქვეს უდიდესი ზიზღი იაპონელი აგრესორების მიმართ.

ამ დღემ ახალი საკითხები შეიტანა პიონერთა პირად დღეობებში.

„მე უსაზღვროდ მიყვარს ჩვენი ქვეყანა, სადაც ვიზრდები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობით. თუ მტერი კვლავ არ დაიშლის მის ვერაგულ საქმიანობას, ჩვენ პატარა პიონერებიც რკინის რკალივით, ურყევ ჯეხირად შემოვერტყებით ჩვენსსაყვარელ სამშობლოს და თავზედ მტერს საკადრის პასუხს გავცემთ,“ ასე ჩასწერა თავის დღიურში ახალგაზრდა პიონერმა გოგონამ ნადია გოგოტიშვილმა.

საბჭოთა პარტიოტიზმის გრძნობით სავსეა ელიკო ცენტრამის მიერ მიწერილი წერილი მისი ბებიისადმი; „ბებიო, მე განახლებულიყინერგით დაუბრუნდები სკოლას და კვლავ ახალ რეკორდებს დავამყარებ სწავლაში,“ ასე სწერდა პატარა ელიკო თავის ბებიას.

13 აგვისტოს გომის პიონერთა ბანაკს საქართველოს მწვერალთა ბრიგადა ესტუმრა, რომელშიც შედიოდა მწვერალი ნინო ნაკაშიძე, ახალგაზრდა პოეტები ა. შანიძე და ლიდა მეგრელაძე.აგრეთვე პიონერთა ბანაკში სტუმრად მივიდა ჟურნალ „ოქტომბერი“-ს რედაქტორი ლაერენტი ჭიჭინაძე. მწვერალთა და პოეტთა ბრიგადამ პიონერებს წაუკითხა რამდენიმე თავიანთი საინტერესო ნაწარმოები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია პიონერ ახალგაზრდობას შორის.

**ლ. მხარაძე.**  
**ჭ. ხომერიკი.**  
**№60, 18 აგვისტო, 1938 წ.**

**იშვიათი დღეგრძელობა**  
მოსახლეობის აღწერის დროს აბაშის რაიონის სოფ. ნოღოხაში აღმოცენილ იქნა 137 წ. მოხუცი ივანე დავითის ძე გაბელია. მოხუცის საუბრიდან გამოირკვა, რომ იგი

დაბადებულია 1800 წლის იანვარს. ივანე გათავისუფლდა ყმობისგან, როცა 50 წლის იყო. ამავე წელს შეირთო ცოლი, რომელიც მალე მოკვდა. ახლა ივანეს მეორე ცოლი ყავს, კესა 93 წლის.

ივანეს ყავს ექვსი ვაჟი და სამი ქალი, მისი შთამომავლობა შეადგენს 36 კაცს, ივანეს უმცროსი შვილი 36 წლისაა, ე.ი. 101 წლის ყოფილა ივანე, როცა მე-9 შვილი შეეძინა.


მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ივანეს სძენა და მხედველობა არ აკლია. ლაპარაკით ნაკლებად იღლება, კარგად ახსოვთ ბატონყმობა. ივანემ იცის ბევრი ზღაპარი, საინტერესო ისტორიული ამბები და ძველი გადმოცემანი.

ივანე გაბელიას ოჯახი „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობაში ირიცხება. თვითონ ივანე ოჯახში მუშაობს. უელის ბოსტანს და ასრულებს მსუბუქ სამუშაოებს.

**№62, 26 აგვისტო, 1938 წ.**

### აზტომანანა ბახმაროში

16 აგვისტოს ჩოხატაურის გზით სრულიად დაუბრკოლებლივ 4 საათის და 20 წუთის განმავლობაში პირვე-



ლად ავიდა ჩოხატაურის კინოთეატრის ავტო მანქანა კურორტ ბახმაროზე. მანქანას მართავდა შოფერი ერისთავი, რომელსაც თან ახლდა ავტონისპექტორი ამხ. ა. თოდუა.

ავტონისპექტორ ამხ. თოდუას და შოფერ ერისთავის შემოწმებით ავარაკ ბახმაროზე ასული მანქანა უვნებელი აღმოჩნდა.

**№65, 10 სექტემბერი, 1938 წ.**

### ხალხური შემოქმედების რაიონული ოლიმპიადა

13 სექტემბერს ქალაქ მხარამის სახელმწიფო თეატრის დარბაზში ჩატარდა რაიონულ ხალხური შემო-

ქმედების ოლიმპიადა. ოლიმპიადამ მონაწილეობა მიიღო: გურულ მომღერალთა სარაიონო ეთნოგრაფიულმა გუნდმა და ნატანების, ჭანიეთის, ცხემლისხიდის, ასკანის, ნიაბაურის, მაკვანეთის, მერიის საკოლმეურნეო გუნდებმა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაკვანეთის საკოლმეურნეო გუნდმა ამხ. ლადიკო ერქომიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც სანიმუშოდ შეასრულა სიმღერები: „ოქტომბერი“, „შვიდაკაცა“, „შავი შაშვი“, „გურული „ორეა“ და სიმღერა სახელოვანი წიტელი არმიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი.

ოლიმპიადამ გამოყოფილი ჟიურის დადგენილებით, რომელშიც შედიოდნენ ამხ. მ. გელაშვილი (თავრე), წევრები: ლ.გვეგეჭკორი (საქ. სსრ სახკომს-აბჭოსთან არსებულ ხელოვნების სამართველოდან), ვ. ხავთასი (კ.კ.რაიკომი), შ. ჭანუყვაძე (განათლების განყოფილება), ნ. თავბერიძე, მ. სიმეულიდი. რესპუბლიკური ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა მხარამის რაიონის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი 30 კაცის შემადგენლობით.

პირველი კატეგორიის ჯილდო

ვაშალომიძე).  
**ჭ. არსენიძე**  
**№66, 14 სექტემბერი, 1938 წ.**

### მხარამის სახელმწიფო თეატრი 1938-39 წლის სეზონი

ახალი რეჟისორის მოსვლად თეატრის კოლექტივმა სათანადო მუშაობა ჩატარა გასული პიესების აღდგენის და ახალის მომზადების საქმეში. 1938-39 წლის სეზონს ხელმძღვანელობს ამხ. გიორგი კერესელიძე. სეზონი გაიხსნება 15 სექტემბერს „სამშობლო“-თი. მონაწილეობს განახლებულიკოლექტივი. პრემიერად დაიდგმება ნოქტომბერს პიესა: „გმირთა თაობა“.

მხარამის სახეატრის მსახიობთა კოლექტივი 1938-39 წლის სეზონში კიდევ უფრო გაზრდის დადგმების მხატვრულ ღირებულებას, რათა დააკმაყოფილოს მშრომელთა კულტურული მოთხოვნილება.

შარშან თეატრის სუსტი ხელმძღვანელობა გამოიხატებოდა იმამში, რომ ახალგაზრდა კადრების აღზრდას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ყოფილი რეჟისორი როსება თანამდებობით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე თავის მოვალეობის შესრულებით.

თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ მისცეს მაყურებელს მაღალი მხატვრული დადგმები.

**დ. მხარაძე.**  
**№66, 14 სექტემბერი, 1938წ.**

### ფიზიათელი გოლიათი

გვეიპტის საავადმყოფოში მოთავსებულია 19 წლის სეიდ მუხამედ გაზი, რომლის სიმაღლე 2 მეტრს და 97 სანტიმეტრს უდრის.

6 წლის წინათ, სახლის შეღებვისას, მღებავი სეიდ მუხამედ გაზი სახლის მესამე სართულიდან ჩამოვარდა და ქვიშის გროვას დაეცა. რამდენიმე თვის შემდეგ მუხამედმა არაჩვეულებრივი სისწრაფით აიყარა ტანი. 1936 წელს მისი სიმაღლე 2 მეტრსა და 28 სანტიმეტრს უდრიდა. ქოხი, სადაც მუხამედი ცხოვრობდა, კვერ იტყვდა გოლიათს. მშობლები იძულებული შეიქმნენ ქოხის სიმაღლე გაედიდებინათ.

ექიმებიყოველგვარ ხერხს ხმარობენ სეიდ მუხამედ გაზის ზრდის შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ. იგი ყოველდღიურად იზრდება.

**№70, 30 სექტემბერი, 1938წ.**





# გელევან მჟავანაძის ბახსენება

# „შემოდგომაზე ორი პრემიერა გვექნება“



სურათში (მარჯვნიდან): გელევან მჟავანაძე, გური სინარულიძე, სემან კოტიპაპაძე, ლევან გოლიაძე

უძველეს მომღერალთა შორის, ვინც ჩვენამდე მოიტანა გურიული ხალხური სიმღერები, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია გელევან მჟავანაძეს.

იგი დაიბადა 1932 წელს სოფელ ჭანიეთში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სიმღერა მამამ – გრიგოლმა შესწავლა. შემდეგ გელევანი გახდა ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლის წევრი, სადაც შეისწავლა გურიული სიმღერები და გახდა კრიმანჭულის უბაღლო შემსრულებელი. დროთა განმავლობაში გელევანი მღეროდა სოფელ ჭანიეთის სასოფლო გუნდში, რომელსაც ცნობილი ლოტბარი – თეიმურაზ კვიციანი ხელმძღვანელობდა. შემდგომ გელევანი მიიწვიეს რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. მღეროდა სოფელ ქაქუთის სასოფლო გუნდში.

ამის შემდეგ რაიონში შეიქმნა – შემდგომ სახელგანთქმული ანსამბლი „დილა“, (ხელმძღვანელი ვარლამ ვაშალიძე). გელევანი ამ ანსამბლში ითვლებოდა კრიმანჭულის ფავორიტ შემსრულებლად.

1980-იან წლებში შეიქმნა სამკაცოანი ჯგუფი: გელევან მჟავანაძის, მიხეილ გოგოტიშვილის და მიხეილ ჩხარტიშვილის შემადგენლობით. ცოტა მოგვიანებით ტრიოს შემადგენლობა შეიცვალა და ჩამოყალიბდა იგი გელევან მჟავანაძის, გური სინარულიძის და კოტე პაპავას შემადგენლობით. შემდგომში ტრიოს ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი

ლევან გოლიაძე დაემატა. ამ ოთხეულმა ჩაწერა მრავალი გურიული სიმღერა, რომელიც ხშირად გადაიციეოდა ტელევიზიით და რადიოთი.

გელევანი ერთ პერიოდს სოფელ ჭანიეთის ახალგაზრდებს ასწავლიდა გურულ სიმღერებს. გელევანი ღიდ ხანს მუშაობდა პარიკმახერად. ხშირად მინახავს საპარიკმახეროში შეკრებილი მისი ძმაცკები, რომლებიც მღეროდნენ და ართობდნენ მსმენელს. იგი დაუზარელი პიროვნება იყო, ხშირად მუშაობის დროს ღიღინებდა და საქმეს აკეთებდა.

პირადად მე ახლოს ვიცნობდი გელევანს, მიმღერია მასთან და დავმეტკბარვარ მისი კრიმანჭულით. იგი მამაჩემთან ერთად მღეროდა ანსამბლ „დილაში“ და ხშირად დავსწრებივარ მათ კონცერტებს.

ბატონი გელევანი მონაწილეობდა მრავალ ფესტივალში და დაჯილდოებული იყო ლაურეატის საპატიო მედლებით. საგასტროლოდ იმყოფებოდა: ბალტიის ქვეყნებში, უკრაინაში, ბელარუსიაში, რუსეთში და სხვა. იგი ბოლომდე, მოხუცებულობის დროსაც ემსახურებოდა იმ საშვილიშვილო საქმეს – რასაც გურიული სიმღერის პოპულარიზაცია ჰქვია, რისთვისაც მან მსმენელთა სიმპატია დაიმსახურა.

გელევან მჟავანაძე გარდაიცვალა 2005 წელს. დასაფლავებულია სოფელ ჭანიეთში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ეს უწყვეტეული კაცი.

**ტრისტან სინარულიძე,**  
ხელოვნების ქურუმი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოვინებისა და მოზარდ მყურებელთა თეატრში საზაფხული არდადეგება. თუ რა წარმატებას მიაღწიეს ბოლო ერთი წლის მანძილზე, ამაზე თეატრის დირექტორს ლამა კუტლაძეს ვესაუბრეთ;


– მარშან, სექტემბერში ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ ჩვენმა „მუჭანახევარამ“ გრან პრი დაიმსახურა. წელს 4 პრემიერა მოვაშვადეთ. რეჟისორმა ითარ კუტლაძემ ნახუცრიშვილის „ვინჭრაქ“ დადგა და აღადგინა მისივე ინსცენირებით ნელი ოსიპოვას „ატმის კურკის საიდუმლო“.

ასევე აღვადგინეთ „ზღაპარი ვრძელდება“ და ვახტანგ გვიგინიშვილის „ვარაყები წითელქუდას თემაზე“. ამ ორი სპექტაკლის პრემიერა სექტემბერში გაიმართება, ხოლო საახალწლოდ ახალ პროგრამას ვამზადებთ.

მართალია დასწრება პანდემიის გამო შეზღუდული იყო, მაგრამ ყოველ კვირას ნორჩი მყურებელისათვის იმართებოდა სპექტაკლი. წელს სულ 40 სპექტაკლი გაიმართო.

დაბა ურეკში საქველმოქმედო ასოციაცია „გურას“ ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრში ვესტუმრეთ ბენეფიციარებს და ორი სპექტაკლი ვუწვეწეთ.

სექტემბრის დასაწყისში ქ. ქობულეთში კვლავ გაიმართება საერთაშორისო ფესტივალი, სადაც



მიწვეული ვართ. ეს კი ფინანსურ უზრუნველყოფაზე იქნება დამოკიდებული.

ფინანსები გვეჭირდება ნორჩ მყურებელთა დარბაზის დასასრულებლად. იმედია, მუნიციპალიტეტი გამოხატავს საჭირო თანხებს – გვითხრა ლამა კუტლაძემ.

ვაზეთი „ალიონს“ ნორჩი მყურებელი ბარბარე მარშანიშვილი ესაუბრა, რომელმაც ბაბუასაგან გაიგო, რომ თოვინების თეატრმა არდადეგები გამოაცხადა. „იცით, რას ვეტყვი, თოვინებზე უფრო ჩემი თეატრია მაგი. ისე რა დროს არდადეგები იყო? თანაც სექტემბრამდელი. სექტემბერში უკვე სკოლაში მივდივარ და ვინაა მატარებს ყოველ კვირას სპექტაკლებზე. მოკლედ, გაბუტული ვარ.“

## ყველა ეპოქის საუკეთესო კალოსანი

ტოკიოს ოლიმპიადებზე ქართველმა ძალოსანმა სამი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. ამაყდროულად ქართველი გოლიათი ტოკიოს ოლიმპიადებზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ლამამ მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.




ლამამ ატაცში 223 კგ დაძლია, რაც მსოფლიო რეკორდია. მან თავის მიერ დამყარებული რეკორდი (222 კგ) გააუმჯობესა.

რაც შეეხება აკრას, ტალახაძემ 265 კგ დაძლია, რაც ასევე მსოფლიო რეკორდია. მან თავის მიერ დამყარებული რეკორდი (264 კგ) გააუმჯობესა.

ორჭიდის ვაშში ლამა ტალახაძემ 488 კილოგრამი მოაგროვა და 3 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. ლამამ მეორე ადგილზე გასულ ირანელ სპორტსმენს 48 კილოგრამით აჯობა.

## „ალიონის“ კალიტრა

### ღები ანი და ელენე მუჯირები, ოზურგეთის სამხატვრო სკოლა



### 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბაღლი +19+26	წვიმა +19+25	წვიმა +17+25	წვიმა +16+22	ღრუბაღლი +16+23	წვიმა +16+21	მზა, ღრუბაღლი +16+23
9 აგვისტო ორშაბათი	10 აგვისტო სამშაბათი	11 აგვისტო ოთხშაბათი	12 აგვისტო ხუთშაბათი	13 აგვისტო პარასკევი	14 აგვისტო შაბათი	15 აგვისტო კვირა